სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/122

ქ. თბილისი 29 მაისი 2018

2017-2018 სასწავლო წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიის შერჩევის წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფ. ი.ლომიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 მაისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 24 აპრილის №392 ბრძანებით სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის 2018 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებისათვის გამოყოფილი 731 სტუდენტის სახელმწიფო სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;

2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით, შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომელიც იხელმძღვანელებს შემდეგით:
   - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 81%-სა და მეტს;
   - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას, ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე-3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები;
5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**